ქალაქი თბილისში, მირიან მეფის ქუჩა, N99, საკადასტრო კოდი 01.10.08.005.195 (მესაკუთრე შ პ ს „გ.თ.ბ“) შენდება მრავალბინიანი კორპუსი, დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება მირიან მეფის ქუჩა, რომლიც საკმაოდ განიერია, ამ კონკრეტულ მონაკვეთში შეადგენს 17 მეტრს (მხოლოდ სამანქანო ნაწილი, ტორტუარების გარეშე).

ხსენებულ მიწის ნაკვეთზე, შენდება 17 სართულიანი კორპუსი, ჯამში 91 ბინით, ამას დამატებული კომერციული თუ საოფისე ფართები რომელიც განთავსდება ამ შენობაში, ამ ყველაფრისთვის კი მიწის ქვემოთ 50 მდე ავტოსადგომია გათვალსიწინებული.

ამ მანქანებისთვის საპარკინგე ჩასასვლელი,როგორც შეთანხმებულ პროექტში ვნახულობთ, იგეგმება არა ცენტრალური ქუჩიდან რომელიც როგორც აღვნიშნეთ 17 მეტრი სიგანისაა, არამედ 8 მეტრიანი გზიდან, რომელიც წრეს არტყამს მიმდებარე ტერიტორიაზე მდგომ რამდენიმე მაღალსართულიან კორპუსს და ჩიხური შესასვლელიდან უერთდება მშენებარე კორპუსს უკანა მხრიდან. იხილეთ დანართი #1



დანართი #1

დანართი #2ში, მონიშნულია კორპუსები, რომლის მაცხოვრებლებიც სარგებლობენ აღნიშნული 8 მეტრიანი გზით, რომელიც დღევანდელი მდგომარეობითაც კი უკვე მუდმივად გადატვირთულია კორპუსების სიმრავლიდან გამომდინარე. აქედან ნაწილი კორპუსებისა, 30 და მეტი წლის წინ აშენებულია და შესაბამისად არ აქვთ საპარკინგე სივრცეები შენობის მინუს სართლებზე,ამიტომ ყველა მაცხოვრებელი მანქანას აყენებს აღნიშნული 8 მეტრიანი გზის მიმდებარედ, ამის გამო ეს გზა იმდენად დატვირთულია მუდმივად, ფეხით მოსიარულე ადამიანებით და მანქანებით, რომ ორი მანქანა გვერდს ვერ უვლის ერთმანეთს.იხილიეთ წარმოდგენილი სურათები დანართად.



დანართი #2

მოგახსენებთ, რომ მირიან მეფის ქუჩის მხრიდან, არის ქსელური მაღაზიები, სადაც დღისა თუ ღამის განმავლობაში უამრავი მაქანა შედის და გამოდის სწორედ ამ მშენებარე კორპუსის მომიჯნავედ, შესაბამისად არგუმენტი, რომ მირიან მეფის ქუჩაზე მოძრაობას შეაფერხებს ახალი კორპუსის საპარკინგე ჩასასვლელი, აზრს მოკლებულია.

ასევე წარმოგიდგენთ ფოტოსურათებში, მიმდებარე ტერიტორიის ერთადერთ რეკრეაციულ ნაწილს - სტადიონს, სადაც დღის განმავლობაში უამრავი ბავშვი თუ მოზრდილი ადამიანი ირევა. გზას, რომელსაც ახალ მშენებარე კორპუსის პარკინგისთვის აძლევთ, ამ წუთას ჩიხურია, პარკინგში ჩასასვლელად თუ გაიხსება ეს ნაწილი, გართულდება უსაფრთხოების ზომების გაკონტროლება. მინდა ასევე გაამახვილოთ ყურადღება მირიან მეფის 103ა - არსებული კორპუსის სადარბაზოზეც, ფაქტობრივად იმ გზაზე გამოდის, სადაც უნდა იაროს 50 მდე მანქანამ.

ჩვენი მოთხოვნაა, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და ს.კ. 01.10.08.005.195 მიწის ნაკვეთზე, მოახსნევინოთ პროექტით გათვალისწინებული, კორპუსებს შორის ჩამატებული გზა და გადაატანინოთ იგი ბევრად უფრო უსაფრთხო და ფართო ნაწილში - მირან მეფის ქუჩაზე, კორპუსის ცენტრალური ფასადის მხრიდან.

პატივსიცემით

01.10.08.005.195 საკადასტრო კოდზე მშენებარე კორპუსის მიმდებარედ მცხოვრები მირიან მეფის ქუჩის მაცხოვრებლები.











იხილეთ სურათებში ჰარტინგისკენ მიმავალი საპროექტო გზა, რომელიც მუდმივად დატვირთულია,ადამიანებით და მანქანებით, რომა მიჰყავს მეფის ქუჩიდან თავსიუფლად შეიძლება იაროს მანქანებმა,ახალ ჰოსპიტალში, სადაც მაღაზიებში ისედაც მუდმივად შედიან მანქანები ასასვლელი ორი შესასვლელიდან.

მიხიან მეფის ქუჩიდან შემოსასვლელი გზა,საიდანაც პროექტის მიხედვით, უნდა იაროს დამატებით 17 სართულიანი კორპუსის მანქანებმა / 15:00 სთ









მიჰიან მეფის ქუჩიდან შემოსასვლელი გზა, 20:00 საათზე, საიდანაც ობიექტის მიხედვით, უნდა იაროს დამატებით 17 საათიანი ჯოხუსის მანქანებმა







